

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თავდაცვის აკადემია



ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და
განახლების მექანიზმები

გორი
2021 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიის სასწავლო, სამეცნიერო და კვლევითი სივრცის მომსახურების მაღალ ხარისხს. აკადემიის ბიბლიოთეკა (შემდგომში - ბიბლიოთეკა) არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, ბიბლიოთეკის დებულების, წინამდებარე დოკუმენტისა და აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ბიბლიოთეკა ექვემდებარება აკადემიის რექტორის მოადგილეს, რომელიც უფლებამოსილია ბიბლიოთეკის საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის კონტროლზე.

ბიბლიოთეკის მისია და ამოცანა

ბიბლიოთეკის მისიაა ხელი შეუწყოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო, სამეცნიერო და კვლევით პროცესში, უზრუნველყოს სასწავლო პროცესი ყველა საჭირო საინფორმაციო რესურსით და მომსახურებით. ბიბლიოთეკა მუდმივად ეცნობა) სწავლების თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისად ნერგავს/ავითარებს თავის რესურსებს, რომელიც პასუხობს მომხმარებლების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ბიბლიოთეკის უპირველესი ამოცანაა ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა, აკადემიის იუნკერთა/მსმენელთა და პერსონალის (შემდგომში - მომხმარებელი) საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურება; შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია, სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან მჭიდრო კავშირი, როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; სხვადასხვა საბიბლიოთეკო ასოციაციებსა თუ კონსორციუმებში გაწევრიანება.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ბიბლიოთეკის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. საბიბლიოთეკო ფონდი;
2. ელექტრონული კატალოგი;
3. ელექტრონული ბაზები;
4. ინფრასტრუქტურა;
5. ფონდზე ხელმისაწვდომობა;
6. სტამბა;

7. მთარგმნელობითი მომსახურება;
8. ბიბლიოთეკის პერსონალის პროფესიული განვითარება;
9. ბიბლიოთეკის მუშაობის შეფასება.

1. საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება

ბიბლიოთეკის უპირველესი ფუნქციაა საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება. ბიბლიოთეკა მუდმივად თანამშრომლობს აკადემიურ პერსონალთან, ახდენს სასწავლო მასალის იდენტიფიცირებას, იღებს პერსონალისგან სილაბუსებს და რეკომენდაციებს, რის შემდეგაც ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სილაბუსებში აღნიშნული ლიტერატურის შედარებას ბიბლიოთეკის ფონდთან. რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, მისი შერჩევა და შესყიდვა ხდება მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით.

ფონდის განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი ასახულია აკადემიის ბიუჯეტში. ბიუჯეტი განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ანალიზის საფუძველზე. ყოველწლიურად ბიბლიოთეკა ადგენს შესაძენი წიგნების, ტექნიკის, საკანცელარიო ნივთების სიას და შემდგომ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ხდება მათი შესყიდვა. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება არაგეგმიური შესყიდვები. იმ შემთხვევაში, თუ ფონდში კონკრეტული წიგნი არ არის (მაგალითად, წიგნი, რომელიც სილაბუსით არის გათვალისწინებული) ბიბლიოთეკა ახდენს ლიტერატურის შესყიდვის ორგანიზებას. კერძოდ, კურატორი რექტორის მოადგილის სახელზე წერს მასალების შესყიდვის საჭიროებისა და შესასყიდი ლიტერატურის შესახებ ინფორმაციას.

ბიბლიოთეკას აქტიური ურთიერთობები აქვს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ გამომცემლობებთან და სისტემატიურად ეცნობა საგამომცემლო სიახლეებს; გაწევრიანებულია საბიბლიოთეკო ასოციაციებში და სარგებლობს ურთიერთგაცვლითი მომსახურებით (ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი).

საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევიდან გამომდინარე, აქტუალურია ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდის განვითარება. წიგნების მოძიებისას/შესყიდვისას ხშირად უპირატესობა ენიჭება ელექტრონულ ფორმატს.

აკადემიის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. აკადემიასა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკა და აკადემია უსასყიდლოდ გადასცემენ ერთმანეთს წიგნებს. აკადემია სისტემატიურად იღებს მასალებს როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან, ისე პარტნიორი დაწესებულებების მხრიდან.

2. ელექტრონული კატალოგი

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი წარმოადგენს ელექტრონულ სამიხედს, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ მივლას დოკუმენტის სათაურის, ავტორის ან თემატიკის მიხედვით. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით შესაძლებელია იმის დადგენა, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ესა თუ ის გამოცემა და თუ არის, რომელი შენახვის შიფრითაა ბიბლიოთეკის ფონდში დაცული. მომხმარებელს შეუძლია ასევე დისტანციურად დაჯავშნოს სასურველი საბიბლიოთეკო ერთეული.

აკადემიის ბიბლიოთეკა ელექტრონულ საბიბლიოთეკო მართვის სისტემას (Evergreen) იყენებს 2012 წლიდან, რომელიც სრულად აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

ელექტრონული კატალოგით სარგებლობა შეუძლია აკადემიის ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულ ყველა მომხმარებელს. მკითხველები დაიყოფიან კატეგორიებად და განისაზღვრება მათ მიერ ბიბლიოთეკის რესურსებითა და სერვისებით სარგებლობის წესები. ნებისმიერი მსურველისათვის ტარდება ინდივიდუალური ტრენინგი ელექტრონული კატალოგის ფუნქციების გასაცნობად.

ბიბლიოთეკის პერსონალი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს ელექტრონულ კატალოგში: ახალი მიღებული წიგნების ან სხვა სახის დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შექმნა, საბიბლიოთეკო ერთეულის გარკვეული წესების მიხედვით აღწერა და აღწერილი მონაცემების კატალოგში შეყვანა და ცირკულაციის პროცესი.

3. ელექტრონული ბაზები

თანამედროვე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფუნქციონირების აუცილებელ კომპონენტს ელექტრონული ბაზები წარმოადგენს. ელექტრონული ბაზა ესაა ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემა, რომელზე წვდომის შესაძლებლობა ხელს უწყობს სხვადასხვა სფეროში დაგროვილი ინფორმაციისა და გამოცდილების გავრცელება-გაზიარებას, კვლევისა და სწავლების პროცესების ინტეგრაციასა და სწავლის ხარისხის ამაღლებას. ბიბლიოთეკა აქტიურად იყენებს შესაძლებლობას და მუდმივად არჩევს ისეთ ელექტრონულ ბაზებს, რომლებიც სასწავლო მასალის შესაბამისი იქნება, როგორც ქართულ, ასევე სხვა უცხო ენაზე/ენებზე.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიას აქვს წვდომა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით შემქნილ ელექტრონულ სამხედრო ბიბლიოთეკაზე, რომელიც მდიდარია საქართველოს სამხედრო სფეროში არსებული სამხედრო თემატიკის ყველა ლიტერატურით.

ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის „კონსორციუმი 2017-თან“ თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა მონაცემთა ბაზებთან

წვდომის შესყიდვა. ბიბლიოთეკას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა პროექტში „ელექტრონულ ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL¹“, რომელიც გულისხმობს წვდომას შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე:

- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- Edward Elgar Publishing Journals
- European Respiratory Journal
- IMechE Journals
- Mathematical Sciences Publishers Journals
- Openedition Journals
- Royal Society Journals Collection
- SAGE Journals ²

ამავე თანამშრომლობის ფარგლებში, აკადემიას აქვს შესაძლებლობა უფასოდ გამოაქვეყნოს პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში, ელექტრონულ რესურსებიდან:

- De Gruyter APCs for open access publishing
- European Respiratory Journal
- Royal Society Journals Collection
- SAGE APCs for Open Access Journals

ასევე, 50% ფასდაკლებით გამოაქვეყნოს პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში, ელექტრონულ რესურსებიდან:

- Cambridge University Press APCs for open access publishing
- Edward Elgar Publishing APCs for open access publishing
- Taylor & Francis APCs for open access journals
- World Scientific APCs for open access publishing
- გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის ფარგლებში ბიბლიოთეკას აქვს უსასყიდლო წვდომა სამეცნიერო ელექტრონული პლატფორმის EBSCO-ს მონაცემთა ბაზაზე: eBook Academic Collection (EBSCOhost), Wildlife & Ecology Studies Worldwide, eBook Collection (EBSCOhost)

¹ Electronic Information for Libraries

² აღნიშნული ელექტრონული რესურსების აღწერა იხილეთ დანართის სახით

ბაზებთან წვდომა შესაძლებელია აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უზრუნველყოფით აკადემიას აქვს თავისუფალი წვდომა Elsevier-ის Scopus, ScienceDirect ბაზებზე.

მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების ჭრილში.

აღნიშნული აქტივობის მიზანია მომხმარებელთა აქტიურობის გაზომვა, რომელზე დაყრდნობითაც იკვეთება სამეცნიერო ელექტრონული ბაზის ეფექტიანობის ხარისხი, ბაზების მკითხველთა მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხი, მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე და ა.შ. მონაცემების საფუძველზე შეიძლება განიხილებოდეს როგორც კონკრეტულ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზასთან ხელშეკრულების გაგრძელების ან ახალი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი, ისე, მომხმარებელთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა ბაზების თვალსაზრისით.

4. ინფრასტრუქტურა

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურას უდიდესი როლი ენიჭება საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფაში. ბიბლიოთეკის სივრცის დაგეგმარება უზრუნველყოფს მოხერხებულ სამუშაო პირობებს, როგორც მკითხველებისთვის, ასევე ბიბლიოთეკარებისათვის. მკითხველებს თავისუფლად შეუძლიათ საბიბლიოთეკო სივრცეში ორიენტაცია, სასურველი მასალების მოძიება და საჭირო სერვისის მიღება, ხოლო ბიბლიოთეკარს აქვს სათანადო პირობები თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

ბიბლიოთეკას გააჩნია:

- წიგნსაცავი;
- სამკითხველო სივრცე;
- სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის;
- ღია დაშვება თაროებთან;
- ფონდის საგნობრივი განლაგება თაროებზე;
- საკონფერენციო ოთახები;
- საინფორმაციო რესურსებით ოთახი (კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები);
- მულტიმედია რესურსები: CD-ები, დოკუმენტური, ისტორიული და სამხედრო თემატიკის ფილმები, აუდიო წიგნები.

5. ფონდზე ხელმისაწვდომობა

ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ბიბლიოთეკის ნებისმიერი სერვისით სარგებლობა. რაც შეეხება ელექტრონულ წვდომას, მასზე ვრცელდება შეზღუდვები თავდაცვის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარეობს. შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ კურსადამთვარებულებსა და იმ პირებზე, ვინც უშუალოდ აღარ სწავლობს/მუშაობს აკადემიაში.

აკადემიას აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზა, სადაც ატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებული ციფრული ან გაციფრულებული ლიტერატურა. აღნიშნულ ლიტერატურაზე წვდომა აქვს აკადემიის ყველა წარმომადგენელს. ატვირთული მასალების დაბეჭდვა, ჩამოწერა, ტექსტის კოპირება შეზღუდულია, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს ინტელექტუალური საკუთრების გასხვისებას.

6. სტამბა

აკადემიის ბიბლიოთეკის შემადგენლობაში შედის სტამბა, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესის უწყვეტად მიმდინარეობაში. სტამბის ფუნქციაა შესაბამისი განაცხადების საფუძველზე სასწავლო პროცესისთვის საჭირო სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების, საბაკალავრო და სამეცნიერო ნაშრომების ბეჭდვა, აკინძვა და გამრავლება.

7. მთარგმნელობითი მომსახურება

აკადემიის ბიბლიოთეკის შემადგენლობაში შედის მთარგმნელობითი მომსახურებაც, რომლის მოვალეობაა აკადემიის ფუნქციონირებისათვის საჭირო სახელმძღვანელო დოკუმენტების, რიდერების, საკონფერენციო მასალების, პრეზენტაციების, დიპლომების დანართების, სხვა მასალების თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით, შესაბამისი განაცხადების საფუძველზე.

8. ბიბლიოთეკის პერსონალის პროფესიული განვითარება.

ბიბლიოთეკის პერსონალის პროფესიონალიზმი და განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ეფექტიან და წარმატებულ მუშაობას. ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს ათვისებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკა, ორიენტირებულია მომხმარებელზე, ფლობს გუნდური მუშაობის უნარს. ამისათვის ხელმძღვანელობა საჭირო შემთხვევაში (მაგ:

ახალი კადრი, ახალი სისტემა, ახალი ტექნიკა, სიახლე, რომელიც აკადემიაში ინერგება და ა.შ.) უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას.

9. ბიბლიოთეკის სერვისების განვითარება

იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ შეძლოს სერვისების განვითარება, საჭიროა შეფასდეს რამდენად წარმატებულია ბიბლიოთეკის მუშაობა. ამისათვის ბიბლიოთეკა აწარმოებს მომხმარებლის მიერ გამოყენებული მასალის სტატისტიკურ ანალიზს. ამასთან, ბიბლიოთეკის შესასვლელში დგას „კომენტარების ყუთი“, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ (რჩევები, კარგი პრაქტიკის ხაზგასმა, საჩივარი, თხოვნა და ა.შ.).

ბიბლიოთეკის პერსონალი აკეთებს მომხმარებლის მოთხოვნათა აღრიხვას, რაც შემდგომში ბიბლიოთეკის განახლებისა და გამდიდრებისათვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი ხდება. აღნიშნული პროცესი ბიძგს აძლევს პროგრესს და განვითარებას. იძლევა ბიბლიოთეკის მუშაობის უკეთესობისკენ წარმართვის სურვილს.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ატარებს კვლევებს ბიბლიოთეკის სერვისების შეფასების მიზნით ბიბლიოთეკის მომხმარებლებთან (იგულისხმება როგორც იუნკერები/მსმენელები, ისე პერსონალი, კურსდამთავრებული). აღნიშნული კვლევების ჩატარების საფუძველია გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებასა და განახლებაზე ზრუნვა უწყვეტი პროცესია. დოკუმენტში „ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები“ ცვლილება ხდება ბიბლიოთეკის ან სხვა დაინტერესებული მხარის ინიციატივის საფუძველზე.